

„ოღონდ მართლა“ - გულწრფელობის გამაძლიერებელი პრაგმატიკული მარკერი და სემანტიკური შეუსაბამობა

ნათელა ფარტენაძე

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

e-mail: natia.phartenadze@bsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2026.11.39>

თანამდროვე სალაპარაკო ქართულში აშკარად შეიმჩნევა ისეთი მეტყველებითი ერთეულებისა და კონსტრუქციების გააქტიურება, რომლებიც არ ატარებს უშუალო ინფორმაციულ დატვირთვას, თუმცა მნიშვნელოვან პრაგმატიკულ ფუნქციას იძენს. ამგვარი ერთეულები მეტყველებაში გამოიყენება ნათქვამის სანდოობის, გულწრფელობისა და რეალობასთან შესაბამისობის გასამყარებლად და ხშირად იქცევა კომუნიკაციური სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილად. სწორედ ასეთ ერთეულად გვევლინება ფრაზა - „**ოღონდ მართლა**“, რომელიც ბოლო პერიოდში ფართოდ დამკვიდრდა ყოველდღიურ სალაპარაკო ქართულში და გამოიყენება როგორც შეფასებით, ისე ნეიტრალურ და ფაქტობრივ გამონათქვამებთან.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მეტყველებითი ეტიკეტის, შეფასებითი გამონათქვამებისა და მათთან დაკავშირებული სტრატეგიების კვლევა არაერთი მიმართულებით მიმდინარეობს. ნ. ფორმანოვსკაია ქათინაურსა და ეტიკეტურ გამონათქვამებს განიხილავს როგორც „გამამხნეველი კონოტაციის მატარებელ სამეტყველო აქტებს“, რომელთა მიზანია, პოზიტიური ემოციური ფონის შექმნა და კომუნიკაციური დამაბულობის შემცირება (Формановская, 2005:65). ი. ტამბერგი კი ხაზს უსვამს, რომ მსგავსი გამონათქვამები ხშირად არ ემყარება ობიექტურ შეფასებას, არამედ მიმართულია ადრესატზე კეთილგანწყობილი ზემოქმედებისკენ და სწორედ ამაში მდგომარეობს მათი პრაგმატიკული ძალა (Тамберг, 2007: 49).

ქართულ ლინგვისტურ სივრცეში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისეთი შემთხვევები, როდესაც ტრადიციული გრამატიკული ერთეული ახალ, არატიპურ ფუნქციას იძენს. ფრაზა „**ოღონდ მართლა**“ სწორედ ასეთ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მასში მონაწილეობს მაპირისპირებელი კავშირი *ოღონდ*, რომლის ძირითადი სემანტიკა მოვლენათა დაპირისპირებასა და კონტრასტის გამოხატვას უკავშირდება. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ზეპირ მეტყველებაში აღნიშნული კონსტრუქცია გამოიყენება არა დაპირისპირების, არამედ დადასტურებისა და გულწრფელობის ხაზგასმის მიზნით.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ფრაზა „**ოღონდ მართლა**“ განიხილოს როგორც სინტაქსურ-პრაგმატიკული ფენომენი, გააანალიზოს *ოღონდ* კავშირის ფუნქციური ტრანსფორმაცია თანამედროვე ქართულში და წარმოაჩინოს ის სემანტიკური შეუსაბამობა, რომელიც წარმოიქმნება კავშირის ტრადიციულ მნიშვნელობასა და მის რეალურ მეტყველებით გამოყენებას შორის.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება აღწერით და ანალიზურ მიდგომებს, კონტექსტუალურ დაკვირვებას, ზეპირი მეტყველების მაგალითების შეგროვებასა და არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურასთან შედარებით ანალიზს.

როგორც ცნობილია, კავშირი წარმოადგენს ისეთ გრამატიკულ ერთეულს, რომელიც მიუთითებს ტექსტის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ სემანტიკურ და ლოგიკურ მიმართებებზე (მიძიგური, 1973:54). კავშირები არ არიან დამოუკიდებელი დენოტატური შინაარსის მატარებლები და არ ასახავენ ობიექტურ რეალობას; მათი ფუნქციაა ტექსტში შინაარსობრივი ურთიერთობების ორგანიზება და ინფორმაციის სტრუქტურირება (ასათიანი, 2007(ა):8).

მაპირისპირებელი კავშირები გამოიყენება ისეთი ერთეულების შესაერთებლად, რომელთა შორისაც არსებობს კონტრასტული ან დაპირისპირებული მიმართება. ქართულში ამ ფუნქციით აქტიურად გამოიყენება კავშირები: *მაგრამ*, *ოღონდ*, *თუმცა*, *არამედ*, *ხოლო*, *კი* და სხვ. (მიძიგური, 1973:367). ამ კავშირების მეშვეობით მეტყველებაში გამოიკვეთება მოსაუბრის მოლოდინის საწინააღმდეგო მოვლენები ან ალტერნატიული შინაარსობრივი ხაზები.

მიუხედავად საერთო მაპირისპირებელი ბუნებისა, აღნიშნული კავშირები ერთმანეთისგან განსხვავდება სემანტიკური ინტენსივობისა და პრაგმატიკული დატვირთვის მიხედვით. *მაგრამ* კავშირი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს დაპირისპირებას, მაშინ როცა *თუმცა* და *ოღონდ* შედარებით რბილ კონტრასტს ატარებს. ამასთან, რიგ შემთხვევებში, *ოღონდ* კავშირი გამოხატავს მოსაუბრის ძლიერ სურვილს ან შიშს, რომ მისი მოლოდინი შესაძლოა არ გამართლდეს (ასათიანი, 2007 (ბ):16).

ოღონდ კავშირი თანამედროვე ქართულში ფართოდ არის გავრცელებული და ისტორიულად საშუალო ქართულის გვიანდელ ძეგლებს უკავშირდება. მისი ამოსავალი ფუძე დაკავშირებულია ზმნისართთან *ულონიოდ*, რომელიც თავდაპირველად დადასტურებით სემანტიკას ატარებდა და ნიშნავდა „უეჭველად“, „უცილობლად“, „მართლაც“ (კვანტალიანი, 1975:61). დროთა განმავლობაში *ოღონდ* კავშირმა შეიძინა გამორჩევი ფუნქცია და ახალ ქართულში დაუახლოვდა მაპირისპირებელ კავშირებს.

მოგვიანებით აღნიშნულმა კავშირმა შეითავსა მაქვემდებარებელი ფუნქციაც. ლ. კვაჭაძე ოღონდ/ოღონდაც-კავშირიან წინადადებებს განიხილავს როგორც პირობით-დათმობითის შინაარსის დამოკიდებულ კონსტრუქციებს, რომლებიც შუალედურ ადგილს იკავებს მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებებსა და კლასიკურ დამოკიდებულ წინადადებებს შორის (კვაჭაძე, 2010:437–438). ეს მრავალფუნქციურობა ადასტურებს, რომ *ოღონდ* სემანტიკურად მოქნილი და დინამიკური ერთეულია.

თანამედროვე სალაპარაკო ქართულში ფრაზა „ოღონდ მართლა“ გამოიყენება ისეთ კონსტრუქციებში, სადაც შინაარსობრივი დაპირისპირება ფაქტობრივად არ იკვეთება. მაგალითად:

- მართალია, ოღონდ მართლა;*
- არ ვიცოდი, ოღონდ მართლა;*
- ძალიან რთულია, ოღონდ მართლა;*
- კარგად გააკეთე, ოღონდ მართლა;*
- კარგი ამბავია, ოღონდ მართლა;*
- ძალიან მიხარია შენი ნახვა, ოღონდ მართლა;*
- სწორად მოიქეცი, ოღონდ მართლა;*
- არ მინდოდა, ოღონდ მართლა...*

ამ ტიპის მაგალითებში „ოღონდ“ კავშირი თითქოს წინასწარ პასუხობს მოსალოდნელ ეჭვს:

- როგორი დახვეწილი ტექსტია, *ოღონდ მართლა;*
- რა კარგი გემოვნება გაქვს, *ოღონდ მართლა;*
- ძალიან ჭკვიანი ხარ, *ოღონდ მართლა...*

პროფესიულ და ნახევრად ფორმალურ კომუნიკაციაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტილისტური დისონანსი: სალაპარაკო მარკერი იჭრება ინსტიტუციურ კონტექსტში. მაგალითად:

კარგი პრეზენტაცია იყო, **ოღონდ მართლა**, სტრუქტურა ძალიან მკაფიოა;

ეს შენიშვნა მნიშვნელოვანია, **ოღონდ მართლა...**

ემპათიური და მხარდამჭერი შინაარსის მქონე ფორმებში „ოღონდ მართლა“ ფუნქციონირებს როგორც **ემოციური ინტენსიფიკატორი** და არა როგორც კავშირი:

ყველაფერი გამოგვივა, **ოღონდ მართლა**;

არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება, **ოღონდ მართლა...**

სემანტიკურად ყველაზე პრობლემურია „ოღონდ მართლა“ კითხვით კონსტრუქციებში:

არაფერი გინდა, **ოღონდ მართლა?**

არ დადლილხარ, **ოღონდ მართლა?...**

ამ შემთხვევაში „ოღონდ“ სრულად კარგავს კავშირის ბუნებას და გარდაიქმნება დადასტურების მოთხოვნის მარკერად.

„აღნიშნული მაგალითები წარმოაჩენს „ოღონდ მართლა“-ს გამოყენებას ნეიტრალურ, ფაქტობრივ და შეფასებით გამონათქვამებში, სადაც არ იკვეთება არც კონტრასტული და არც დათმობითი დამოკიდებულება.“

ზემომოყვანილ კონსტრუქციებში მაპირისპირებელი კავშირი ფორმალურად შენარჩუნებულია, თუმცა მისი ძირითადი სემანტიკური ფუნქცია გაუქმებულია. შედეგად ქმნის კონსტრუქციის შიდა სემანტიკურ დამაბულობას. „მაპირისპირებელი „ოღონდ“ კავშირის გამოყენება ასეთ სტრუქტურაში სავსებით უადგილოა, რადგან მისი ფუნქცია მოვლენათა დაპირისპირებაა და არა დაზუსტება“ (ფარტენაძე, 2022:148). კომპონენტი „მართლა“ დადასტურებითი სემანტიკის მატარებელია და ქართულში ტრადიციულად გამოიყენება ნათქვამის რეალობასთან შესაბამისობის ხაზგასასმელად. სწორედ ამ ელემენტის თანხვედრა მაპირისპირებელ კავშირთან ქმნის კონსტრუქციის შიდა სემანტიკურ დამაბულობას.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ კონსტრუქცია „ოღონდ მართლა“ თანამედროვე ქართულ სალაპარაკო დისკურსში სისტემატურად გამოიყენება იმ კონტექსტებში, სადაც არ იკვეთება არც სემანტიკური დაპირისპირება და არც მოსაუბრის მოლოდინის დარღვევა. აღნიშნულ შემთხვევებში „ოღონდ“ კარგავს მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციას და გარდაიქმნება გულწრფელობის გამაძლიერებელ მარკერად, რაც წარმოშობს სემანტიკურ შეუსაბამობას ფორმასა და ფუნქციას შორის.

ფრაზის „**ოღონდ მართლა**“ ფართო გავრცელება დაკავშირებულია სოციალური და პრაგმატიკული ფაქტორების კომპლექსთან. თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც ხშირია გადაჭარბებული შეფასება, სკეპტიციზმი და ინფორმაციული უნდობლობა, მეტყველებაში ძლიერდება ნათქვამის დამატებითი გამყარების საჭიროება. ამ კონტექსტში მოსაუბრე ცდილობს, დამატებითი მარკერების მეშვეობით დაარწმუნოს ადრესატი საკუთარი სიტყვების გულწრფელობაში.

ფორმანოვსკაიას აზრით, ეტიკეტური მეტყველება სწორედ ის სივრცეა, სადაც ენობრივი საშუალებები ემოციური ზემოქმედების ფუნქციას იძენს (Формановская, 2005:65). ტამბერგი კი აღნიშნავს, რომ მსგავსი სტრატეგიები ხშირად განპირობებულია არა რეალური შეფასებით, არამედ კომუნიკაციური ეფექტის მიღწევის სურვილით (Тамберг, 2007:49). აქვე უნდა დავძინოთ, რომ „ქათინაური ხშირად „ნახევრად სიმართლისა და ნახევრად შელამაზებული ტყუილის ნაზავია“, რაც მეტყველებაში დადასტურების დამატებით მოთხოვნილებას წარმოშობს (ფარტენაძე, 2022:152).

ამგვარად, „ოღონდ მართლა“ შეიძლება აღვიქვათ როგორც დადასტურებითი სტრატეგიის უნივერსალური ფორმა, რომელმაც ქათინაურის დისკურსს გასცდა და თანამედროვე მეტყველების ზოგად მახასიათებლად ჩამოყალიბდა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულმა მასალამ ცხადყო, რომ ფრაზა „ოღონდ მართლა“ თანამედროვე ქართულ მეტყველებაში წარმოადგენს გულწრფელობის გამაძლიერებელ პრაგმატიკულ მარკერს, რომელიც ფორმალურად ეფუძნება მაპირისპირებელ კავშირს, თუმცა ფუნქციურად სცდება მის ტრადიციულ სემანტიკურ ჩარჩოებს. ამგვარი გამოყენება წარმოშობს სემანტიკურ შეუსაბამობას ფორმასა და ფუნქციას შორის.

ამასთან, აღნიშნული კონსტრუქცია არ უნდა განვიხილოთ როგორც შემთხვევითი ან ინდივიდუალური გადახრა. იგი ასახავს თანამედროვე კომუნიკაციის სოციალურ მოთხოვნებს, უნდობლობის ზრდასა და დადასტურებისადმი მომატებულ საჭიროებას. სწორედ ამ ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ მაპირისპირებელი კავშირი *ოღონდ* ნაწილობრივ უბრუნდება თავის პირვანდელ, დადასტურებით სემანტიკას, თუმცა სინტაქსურად კვლავ ინარჩუნებს წინააღმდეგობრივ სტატუსს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულში გულწრფელობის გამყარების ფუნქციას ასრულებს სხვა მარკერებიც („მართლა“, „ნამდვილად“, „სინამდვილეში“), თუმცა „ოღონდ მართლა“ გამორჩეულია იმით, რომ ფორმალურად ეფუძნება მაპირისპირებელ კავშირს.

ამრიგად, „ოღონდ მართლა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტს თანამედროვე ქართული ენის სინტაქსის, პრაგმატიკისა და სოციოლინგვისტიკისთვის და ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გრამატიკულმა ერთეულმა მეტყველებით პრაქტიკაში სრულიად ახალი ფუნქციური დატვირთვა შეიძინოს.

საკვანძო სიტყვები: ოღონდ, გულწრფელობა, ქათინაური, დისკურსი, სემანტიკური შეუსაბამობა, სალაპარაკო მეტყველება.

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., (2007 (ა)): ინტონაციის როლი წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებაში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
2. ასათიანი რ., (2007 (ბ)): ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, სემიოტიკა - II, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.
3. კვანტალიანი ლ., (1975): ოღონდ კავშირი ქართულში: ქელს, #4.
4. კვანტალიანი ლ., (1990): ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსი, თბილისი.
5. კვაჭაძე ლ., (2010): თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი: გამომცემლობა „ცოტნე“.
6. ფარტენაძე ნ., (2022): ქათინაურის გამოხატვის თავისებურება და ოღონდ კავშირის ფუნქცია თანამედროვე ქართულში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – V. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი.
7. შანიძე ა., (1980): ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
8. ძიძიგური შ., (1973): კავშირები ქართულ ენაში, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
9. Тамберг Ю. Т. (2007): Как научиться говорить комплименты, Изд-во „Флинта“.
10. Формановская Н. И. (2005): Культура общения и речевой этикет, 2-е изд. — М.: ИКАР.

“*Oghond Martla*”: A Marker of Reinforced Sincerity and Semantic Inconsistency

Abstract

The article examines the construction “*oghond martla*” (“really, honestly”) as a characteristic feature of contemporary Georgian spoken discourse. This expression is widely used in various communicative situations, particularly in evaluative utterances and compliments. The aim of the study is to analyze its functional and semantic properties and to identify the reasons for its increased frequency in modern Georgian speech.

The research is based on syntactic-semantic and pragmatic analysis, as well as discourse-oriented observation of spoken language data. The paper discusses the historical development of the conjunction “*oghond*” in Georgian, outlining its affirmative, adversative, and conditional-concessive functions. It is argued that in the construction “*oghond martla*” the conjunction appears to regain its original affirmative meaning; however, it simultaneously retains adversative features at the syntactic and functional levels, which leads to semantic inconsistency.

The analysis demonstrates that “*oghond martla*” functions in contemporary Georgian as a means of reinforcing sincerity, reflecting pragmatic communicative needs shaped by social distrust and increased skepticism toward verbal evaluation.

Keywords: *oghond*, sincerity, compliment, discourse, semantic inconsistency, spoken language.